მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი (შვატი) №2 (462) (5780) 2020

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

„ხსოვნის სანთელი“ იერუსალიმში

რუსეთის თვალებზე ცრემლმომდგარი პრეზიდენტი

23 იანვარს იერუსალიმში გაიმართა ლენინგრადის ბლოკადის წლებში — ქალაქის გმირული დამცველებისადმი მიძღვნილი მონუმენტის „ხსოვნის სანთლის“ გახსნის ცერემონიალი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ისრაელის პრზიდენტი რეუვენ რივლინი, პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, იერუსალიმის მერი მოშე ლეონი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი და სხვ.

მონუმენტი შეიქმნა რუსეთის ებრაელთა კონგრესის, ბიზნესმენ ვიქტორ ვაქსელბერგის, „კერენ კაიამეთ ლე ისრაელის“ და სხვათა დაფინანსებით, მთავარი კი გახლდათ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის წვლილი — სწორედ მან აიტაცა ეს კეთილშობილური იდეა, რომელიც ისრაელის საზოგადოებრივ სულისკვეთებას ერთობ დადებითად წარმოაჩენს. მიხეილ მირილაშვილმა არც ზემოთჩამოთვლილი ორგანიზაციების შემოერთებაზე თქვა უარი.

ისრაელის პრეზიდენტმა რეუვენ-რუბი რივლინმა გაიხსენა რომაელთა მიერ იერუსალიმის ბლოკადა პირველ საუკუნეში.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ მიმართა რა რუსეთის პრეზიდენტს, თქვა, რომ ყოველ აქ შეკრებილს, ომთან საკუთარი ტრაგედია აკავშირებს და ფანატიკურ რეჟიმებთან მიმართებაში არა-რა კომპრომისი არ უნდა დავუშვათო.

— ჩვენ უნდა შევაჩეროთ ისინი, უნდა გვესმოდეს, რაოდენ დიდი ხიფათი გველის მათგან, ჰოლოკოსტის დავიწყება შეუძლებელია. დღეს ებრაელ ხალხს აქვს ძლიერი სახელმწიფო და ჰყავს ძლიერი არმია. ის, ვინც განადგურებით გვემუქრება, მკაცრ პასუხს მიიღებს.

„ხსოვნის სანთელი“—8.5 მეტრიანი სტელა — ისრაელის დედაქალაქის ერთ-ერთ ბორცვზე დაიდგა...

— ლენინგრადის ბლოკადასა და ჰოლოკოსტს ვერაფერს ვერ შეადარებ. საშინელების განცდის მომგვრელია ფაქტების, დოკუმენტების გაცნობა, მაგრამ არა-რა დოკუმენტებს, არა-რა ნაამბობს, არა-რა დღიურებსა, თუ კინოქრონიკას არ ძალუძს გადმოსცეს, ის, თუ რა გადაიტანეს ადამიანებმა. მე ეს ყველაფერი ყურმოკვრით კი არა, ჩემი მშიბლების ნაამბობით ვიცი: მამა მშობლიურ ქალაქს ფრონტზე იცავდა, დედა — ბლოკადაში მოქცეულ ქალაქში იყო პატარა შვილთან ერთად, რომელიც 1942 წელს პისკარიოვის მემორიალურ სასაფლაოზე ასი ათასობით ლენინგრადელის გვერდით გახლავთ დაკრძალული.

სოციალური ქსელები გამოჰყოფენ იმ მომენტს, როცა ვ. პუტინს ემოცია მოეძალა — ხმაც კი აუთრთოლდა:

— ძეგლი ძალიან კარგი რამაა. ეს ძეგლი დიდხანს იქნება, იმედი მაქვს, საუკუნეებს გაუძლებს. მისი გახსნა სხვადასხვანაირად შეიძლებოდა, მაგრამ ისე, როგორც დღეს ეს თქვენ გააკეთეთ... მადლობა! — რუსეთის პრეზიდენტს ხმა აუთრთოლდა და გამოსვლა დაამთავრა.

რუსეთის ახალი ამბების ფედერალური სააგენტო წერს: თუ რუსეთის ლიდერმა შესძლო ცრემლების შეკავება, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ძეგლმა იმდენად ააღელვა, მოუწია ცხვირსახოცით მოეწმინდა ცრემლები.

ეს არის უჩვეულიო ძეგლი — სტელა. როცა მას ადამიანი მიუახლოვდება, ძეგლში მეტრონომი ამოქმედდება და ის ხმა მოისმის, რაც ბლოკადის წლებში მოისმოდა.

ლენინგრადის ბლოკადა 1941 წლის 8 სექტემბერს დაიწყო და 1944 წლის 27 იანვარს დამთავრდა. ბლოკადის თითქმის 900 დღის განმავლობაში დაიღუპა ამ ქალაქის 600 ათასიდან მილიონნახევრამდე მაცხოვრებელი. 150 ათასმა ლენინგრადელმა ებრაელმა გაიზიარა ბლოკადაში მოქცეულთა ტრაგიკული ბედი. ბევრმა იარაღს წაავლო ხელი, 70 ათასი ლენინგრადელი ებრაელი ბრძოლაში დაიღუპა. დღეს ისრაელში 1300 ბლოკადაგამოვლილი ებრაელი ცხოვრობს. ჩვენ მადლიერნი ვართ ამ მედგარი ადამიანებისა, ვამაყობთ იმით,რომ დღეიდან ისრაელში იქნება ლენინგრადთა მამაცობისადმი მიძღვნილი ძეგლი — თქვა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა, რომელმაც პირველმა დაუჭირა მხარი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ლენინგრადის ბლოკადაგამოვლილთა ინიციატივას იერუსალიმში ამ ძეგლის დადგმის თაობაზე.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

მილიონი ფუნტი აუშვიც-ბირკენაუსათვის

„The Jerusalem Post“-ი იტყობინება: ისრაელში დიდი ბრიტანეთის საელჩოს პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ ბრიტანეთი გამოჰყოფს 1 მილიონ ფუნტ სტერლინგს. ამ გრანტის მიზანია აუშვიც-ბირკენაუს მუზეუმის შენახვა, თანხის ნაწილი კი ჰოლოკოსტის თაობაზე ახალგაზრდობისათვის გაკვეთილების ჩატარებას მოხმარდება. ამ თანხას გაიღებს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და თემთა და ადგილობრივ თვითმმართველობათა საბინაო მშენებლობის სამინისტროები. ეს განცხადება დაადასტურეს ორივე სამინისტროს პირველმა პირებმა — დომინიკ რააბმა და რობერტ ჯენრიკმა.

ეს განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 22 იანვარს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გამოვიდა. მინისტრმა თავის გამოსვლაში ისაუბრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჰოლოკოსტის ხსოვნა და იმის სწავლება, რაც მოხდა. ეს არისო საშუალება, რომ ასეთი ბოროტება მეტად აღარ განმეორდეს. „აუშვიც-ბირკენაუს

ფონდის“ მისიაა გაამაგროს, განაახლოს და ხანგრძლივად შეინახოს აუშვიც-ბირკენაუს ბანაკი.

ამ გადაწყვეტილების თაობაზე საუბრისას ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ რააბმა აღნიშნა:

— კარგად მახსოვს ჩემი ბავშვობის წლებში ბებია როგორ დასტიროდა ამ და სხვა ბანაკებში დაღუპულ ნათესავ-ახლობლებს. ჩვენი სახელმწიფოს მთავრობა ამ პროექტს მხარს უჭერს იმისათვის, რომ არასოდეს არ დაგვავიწყდეს ისტორიის ყველაზე მწუხარე მომენტი და მომავალი თაობა ისე აღვზარდოთ, ასეთი რამ აღარასოდეს აღარ განმეორდეს.

ებრაელთა მშველელთათვის

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იერუსალიმის მუზეუმი „იადვაშემ“ („ხელი და სახელი“) იმ არაებრაელებს, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელები ფაშისტი გერმანელების დევნისაგან იფარავდნენ, ანიჭებენ მართალთა წოდებას. ვარშავაში ამოქმედდა პროგრამა შილენტ ეროთახი შერვიცე, რომელიც კვირაში 72 საათი ემსახურება იმ არაებრაელ ადგილობრივ მართალთ, რომლებიც ჰოლოკოსტის წლებში ებრაელების სიცოცხლის გადარჩენისათვის იბრძოდნენ. ამ წამოწყების ორგანიზატორები აპირებენ ეს დრო — 72 საათი — კიდევ უფრო გაზარდონ.

ის ვარშაველი პენსიონერები, რომლებიც თავის დროზე არაებრალ მართალ ადამიანებად იქნენ ცნობილნი, აცხადებენ, რომ ასეთი მომსახურების გაჩენის შემდეგ, ცხოვრება გაუუმჯობესდათ, რადგან ვარშავაში ერთობ დაბალ დონეზეა სატრანსპორტო მომსახურება.

პროექტის მთავარი მძღოლი ოლივერ ვანგარტი ამბობს, რომ პენსიონერები ხშირად დადიან კრებებზე, საავადმყოფოებში, სასაფლაოებზე, რათა მიხედონ ახლობლების საფლავებს.

ამ წამოწყებას ნაწილობრივ ის ებრაელები აფინანსებენ, რომლებიც ტაქსების ბიზნესით გახლავან დაკავებული.

ისრაელის სავალუტო რეზერვი

მიმდინარე წლის იანვარში ისრაელის სავალუტო რეზერვმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია — დღეს იგი 3.95 მილიარდი დოლარია. ეს 3.14 %-ით მეტია, ვიდრე იყო შარშან იანვარში და 10%-ით მეტი, ვიდრე 2018 წლის იანვარში.

პრინც ჩარლზის განცხადება

პრინცმა ჩარლზიმ გამოაცხადა, რომ იგი კვლავაც განაგრძობს ბრიტანეთში განლაგებულ ებრაელთა დახმარების საერთაშორისო ფონდის

მფარველობას. პრინცი 2015 წლიდან გახლავთ ამ ფონდის მფარველი და ქომაგი, სპონსორობის ახალი კადენცია კი 2020 წლის აპრილიდან იწყება.

ებრაელთა დახმარების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარემ დენ როზენფილდმა თქვა, რომ ეს ორგანიზაცია ქველმოქმედებით მფარველობას უწევს აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობას და ორგანიზაციაში დიდად აფასებენ პრინც ჩარლზის ყურადღებასა და დახმარება

ისრაელის სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, ისრაელში 9 136 000 ადამიანი ცხოვრობს

ბოლო ათწლეულში ისრაელის მოსახლეობა 1 627 000 ადამიანით გაიზარდა

სახელმწიფოს მოსახლეობის 74.1 %ებრაელია, 21% — არაბი, მოსახლეობის 4.9% განსაზღვრულია, როგორც „სხვანი“ (ესენი არიან არაბი-ქრისტიანები, და ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ განსაზღვრული თუ რომელ რელიგიას განეკუთვნებიან).

ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი 1.9%

ცენტრალური სტატისტიკური ბიურო მიიჩნევს, რომ 2024 წლისათვის ისრაელის ებრაელობა 10 მილიონს მიაღწევს.

ნიუ-იორკის ბეით ქნესეთებში

მას შემდეგ, რაც ნიუ იორკის ბეით ქნესეთებში მკვეთრად გაიზარდა ანტისემიტური ინციდენტები, მათს ხელმძღვანელობას შესთავაზეს ნაგებობაში სპეცსამსახურების გამოსაძახებელი ცხელი ხაზის შეყვანა. საშიშროების შემთხვევაში საკმარისია თითი დააჭიროთ ღილაკს და სპეცსამსახურები არ დააყოვნებენ.

ამ იდეას რეკომენდაციას უწევს ებრაული პატრული SHOMRIM.

აღნიშნავენ, რომ თუ შაბათის ღვთისმსახურების დროს საფრთხე შეიქმნა, ღილაკზე თითის დაჭერა, შაბათის უპატივმცემლობად არ ჩაითვლება. ასეთი ცხელი ხაზის დაყენება სულ რაღაც 200 დოლარი ღირს. სადღეისოდ ამგვარი აპარატურა ნიუ-იორკის 200 ბეით ქნესეთში დააყენეს.

შანხაის რაბინმა...

ჩინეთში კორონა ვირუსთან ერთ-ერთი საბრძოლო საშუალების — ნიღბების უკმარისობაა. 3 თებერვალს შანხაიში „ხაბად ლიბავიჩის“ რაბინმა შალომ გრინბერგმა ამ ქალაქისტორიულ რაიონში ხანკოუ, იმ მუზეუმში, რომელიც ლტოლვილი ებრაელობის ყოფას ასახავს, 10 ათასი ნიღაბი დაურიგა მოსახლეობას. ადრე ხანკოუს რაიონი ებრაული გეტოდ გახლდათ ცნობილი

— ჩვენთვის დიდი პატივია დავეხმაროთ ამ ჩინებულ ადამიანებს, რომლებმაც ჩვენს ხალხს, როდესაც მათ უჭირდათ, დახმარების ხელი გამოუწოდეს. წინა კვირაში მთელ მსოფლიოში აღინიშნა სიკვდილის ბანაკების განთავისუფლების 75 წლისთავი. იმ წლებში შანხაიში თავშესაფარი ათიათასობით ებრაელმა ჰპოვა. ისინი ძირითადად ამ რაიონში ცხოვრობდნენ — თქვა რაბინმა შალომ გრინბერგმა და დასძინა — ეს პაწია გამოხატულებაა ჩინელი ხალხისადმი მადლიერებისა და მხარდაჭერისა. მან ასევე მოუწოდა საერთაშორისო ორგანიზაციებს დაეხმარონ ხანდაზმულ და უმწეო ადამიანებს.

მე გავიზარდე ებრაელად...

„ფეისბუკის“ ქსელის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა იუტას შტატში კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ამ ბოლო ხანს პირი იბრუნა რელიგიისაკენ და შეკითხვებზე პასუხს სწორედ რელიგიაში დაეძებს.

— ბოლო წლებში უფრო რელიგიური გავხდი

— თქვა მან და ეს მოვლენა დაუკავშირა ბოლო ოთხი წლის პერიოდს, როცა მას შვილი შეეძინა. — რელიგია თავმდაბლობას ჩააგონებს. ძალიან მნიშვნელოვანია და უსაფრთხო იმის შეგრძნება, რომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ხარ შენ. აი, რატომ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანებს მიეცეთ უფლება გამოსთქვან თავთავიანთი აზრი — თქვა ცუკერბერგმა და დასძინა — მე გავიზარდე ებრაელად, წლების განმავლობაში ბევრ შეკითხვას ვიძლეოდი, ამ შეკითხვათაგან ზოგიერთი უპასუხოდ დარჩა. დღეს მივიჩნევ, რომ რელიგია ძალიან მნიშვნელოვანია და ჩემი ცხოვრების მთავარ ფაქტორად მიმაჩნია — მარკ ცუკერბერგის ეს განცხადება ძალიან მოულოდნელია, თუ გავიხსენებთ იმას რომ 35 წლის ამერიკელი მილიარდერი, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელია, იშვიათად საუბრობდა იუდაიზმისადმი კუთვნილებასა და რელიგიურობაზე.

პარტია „ისრაელი ჩვენი სახლია“-ს საჩივარი

პარტია „ისრაელი ჩვენი სახლია“-ს (იჩს) მეთაურმა ავიგდორ ლიბერმანმა სამართლიანობის უმაღლეს სასამართლოში (ბაგაცი) შეიტანა საჩივარი ისრაელის მთავარი რაბინის იცხაკ იოსეფის წინააღმდეგ.



ავიგდორ ლიბერმანი იუსტიციის მინისტრ ამირ ოხანასაგან მოითხოვს სასამართლოს აუხსნას, აქამდე თუ რატომ არ შეიკრიბა კომისია, რომელიც ნიშნავს რელიგიურ მოსამართლეებს და რომელმაც უნდა განიხილოს მთავარი რაბინის იცხაკ იოსეფის კადენციის ამოწურვის საკითხი. ავიგდორ ლიბერმანი ასევე მოითხოვს დისციპლინარულმა სასამართლომ განიხილოს იცხაკ იოსეფის საკითხი, რომელმაც აუგად მოიხსენია საბჭოთა კავშირიდან ჩასული რეპატრიანტები.

ამ რამდენიმე ხნის წინათ — იანვარში მთავარმა რაბინმა განაცხადა რომ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული რეპატრიანტები „არაებრაელნი და კომუნისტები არიან“.

დასაწყისიდან დასასრულამდე

გურამ გათიაშვილი

ჯერ ჩემი, დრამატურგისა და თეატრალური ცხოვრების გამოისობით, მოგვიანებით კი საზოგადოებრივ ასპარეზზე, როცა საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების რიგით წევრი, ზოგჯერ კი ხელმძღვანელ ორგანოებში გახლდით არჩეული, ბევრ სახელმწიფოში მომიწია ჩასვლა. მომივლია სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნები — ხან თვითმფრინავით, ხან მატარებლით, სარეისო ავტობუსითაც კი მიმგზავრია — ეს განპირობებული გახლდათ იმით, თუ როგორი, რა ხასიათისა იყო, ამათუიმ ღონისძიების პროგრამა, მიზანი, დაფინანსება. თითქმის ყველგან სიამოვნებით მივდიოდი — ჩემი ქვეყნისა და მისი ებრაელობის ამბავი ჩამქონდა და საერთო მდგომარეობასაც ვაკვირდებოდი. უარის თქმის შემთხვევაც ყოფილა — გამგზავრებაზე ბოლოდროინდელი უარისთქმა ყველაზე მტკივნეული გამოდგა და დღემდე განვიცდი: ამ სამიოდე წლის წინათ, მეუღლის ავადმყოფობის გართულების გამო, ვერ შევძელი კანადაში წასვლა. სწორედ გაფრენის წინა დღეს ვთქვი უარი ჰალიფაქსის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობაზე. ამ ფესტივალზე ჩემს პიესას — „მოხეტიალე დასი“ — თამაშობდნენ.

ამჯერად კი კრაკოვში გამგზავრება გამიჭირდა — თითქმის ვიცოდი, აუშვიც -ბირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკში, რაოდენი ბარბაროსობის მოწმეც შევიქნებოდი. მიჭირდა, მაგრამ მაინც უნდა წავსულიყავი. მსოფლიოს ებრაელთა კონგრესმა სამი თვით ადრე მაუწყა, 26-28 იანვარს აუშვიც-ბირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკის განთავისუფლების 75 წლისთავზე გიწვევთ, წელს ეს დღე ჰოლოკოსტის (მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის) ხსოვნად აღინიშნებაო. დასტური მიცემული მქონდა, თორემ ისა სჯობს, გაზის ღუმელებში დამწვარი ადამიანების სუნით გაჟღენთილ კუთხეში ჩასვლას თავი აარიდო.

რატომ 27 იანვარი და რატომ აუშვიც (ასე გერმანელები ეძახიან პოლონეთის სოფელ ოსვენციმს) - ბირკენაუ? ჯერ ერთი, იმიტომ რომ: ამ ბანაკში მილიონ ნახევარ ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე. მილიონნახევარი სხვადასხვა ერის შვილი — ახალგაზრდა, მოხუცი, საპყარი, ქალწული, თუ ჭაღარა ადამიანი. ამათგან 1 მილიონ 300 ათასი ებრაელი გახლდათ.

მეორეც იმიტომ რომ 1945 წლის 27 იანვარს საბჭოთა არმიის მიერ აუშვიც-ბირკენაუს გათავისუფლება ადასტურებდა: ნაცისტების აღსასრულის ჟამი დადგა — შვება მოვიდა, მაგრამ როდის? იმ მილიონნახევარი ადამიანიდან საბჭოთა არმიას ბანაკში 30 ათასი თუ დაუხვდა — დანარჩენი? აი, იმ გაზის ღუმელებში კვალის დასაფარად დაეწვათ. აი, მათი და მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ყოველი ებრაელის — ექვსი მილიონი ებრაელის სულის მოსახსენიებლად — „კადიშის“ წასაკითხადაც, ჩადიოდა მსოფლიოს ებრაელობის წარმომადგენლობა ამ ბანაკში.

ორიოდე თვეც და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 75 წელი შესრულდება — შვიდ ათეულ წელზე მეტი გავიდა და მსოფლიოს ებრაელობა რაოდენობრივად ჯერაც ვერ გაუტოლდა ომის წინა — 1939 წლის დონეს და ეს მაშინ, როცა ერი მრავლდება, ხოლო მისი მესამედი, იქნებ, ცოტა მეტიც კი — რელიგიური ოჯახები — ერთობ მტკიცედ მისდევს შეგონებას, რომ ჩასახული არსება უნდა დაიბადოს და გაიზარდოს, ამის გამო მომეტებულადაც მრავლდება — ოჯახში 6-7 შვილის გაჩენა, ჩვეულებრივი შობადობაა.

* * *

კრაკოვში შეიძლებოდა ქუთაისიდან პირდაპირი რეისით წავსულიყავ, ან თბილისი-ვარშავა-კრაკოვის მარშრუტი ამერჩია, მე კი ბილეთი სულ სხვა მიმართულებისა გამომიგზავნეს: თბილისი-მიუნჰენი -კრაკოვი. ე.ი. ჯერ ქალაქი, რომელშიც ყველაფერი დაიწყო — მიუნჰენი, შემდეგ კი კრაკოვი, სადაც დასასრულის ზარი აგუგუნდა. მიუნჰენში ლუდის ბარებში შეკრებილი ბიჭების ღრიანცელში ფაშიზმის იდეოლოგია არ მოჩანდა. თითქოს არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. უბრალოდ, ჯანმაგარი, კუნთებზე მომზირალი მიჭები ლუდით იჭყიპებოდნენ და პირველი მსოფლიო ომის შედეგებით ნირწმხდარი გერმანიის ფეხზე წამოდგომაზე საუბრობდნენ. სახელმწიფოს აღზევების სულისკვეთებას მოსდევდა შეძახილები: „დოიჩლანდ, დოიჩლანდ, იუბერ ალეს!“ გერმანია უწინარეს ყოვლისაო. არც ამაში ვხედავ უბედურების მომასწავებელ ნიშნებს — ყოველ ადამიანს თავისი სამშობლოს წინსვლა უნდა მიაჩნდეს უწინარესად, მაგრამ მათს ტვინს ნაცისტური — სხვა ერებზე უმჯობესობის, სხვათა სიძულვილის იდეოლოგია რომ ეუფლება, ტვინის ყოველი უჯრედი ფაშიზმის ბაცილებით რომ იმსჭვალება?! მალე მკლავებზე ჯვრიანი სამკლავურებიც წამოიცვეს და...

მიუნჰენიდან, რომელშიც ყველაფერი დაიწყო, უნდა წავიდე ქალაქში, რომელშიც დასასრულის გონგი გაისმა — კრაკოვში. პოლონეთის ეს ულამაზესი, საამო სახილველი ქალაქი, მეათე საუკუნიდან რომ შენდება და მშვენდება, მოწმეა ფაშიზმის დიდებისა და დაცემისა. ამასთან ერთად, ეს ქალაქი ებრაელთა ქონებაზე თვალწასულ პოლონელთა სულიერი დაცემის — მეზობლის, მეგობრის, გუშინდელი ებრაელი მასწავლებელის, მიჯნურის, თანამშრომლის, საყვარლის ვერაგული გაცემის მოწმეცაა. მანამ სანამ კრაკოვს გერმანელები დაიკავებდნენ, ამ ქალაქში 64 ათასი ებრაელი — მევიოლინე, მეწარმე, ვაჭარი, კალატოზი, პიანისტი, მძღოლი, სტუდენტი ცხოვრობდა. მშვენიერი უბანი აუშენებიათ — კაზიმეჟი — საკონცერტო დარბაზით, რესტორნებით, ებრაული თეატრებით, სავაჭრო ცენტრებით გაჩირაღდნებული. ებრაული თვალთახედვით, ადამიანი ხომ იმისთვის

ევლინება ქვეყნიერებას, რომ გარემო რომელშიც აღმოჩნდა, გარდაქმნას — გახადოს უკეთესი, ვიდრე დახვდა. ფაშიზმს პოლონელებიც ებრძოდნენ, ებრძოდნენ თავგამოდებით, ებრაელებსაც იფარავდნენ, მაგრამ ერის მეხსიერებამ იმის ბევრი ფაქტიც შემოინახა, რომ მათს ქონებაზე თვალწასული პოლონელები ებრაელებს აუშვიც-ბირკენაუს გაზის ღუმელებისთვის იმეტებდნენ, იქნებ, მათი ბინები, მანქანები, ცოლები ჩვენ დაგვრჩესო.

ომის დამთავრების შემდეგ კი ამ ქალაქში აღარცერთი ებრაელი აღარ იყო. ფაშისტებმა ყოველი მათგანი ჯერ „აბანოში“ შეჰყარეს, მერე კი გაზის ღუმელებში. გერმანელებმა იცოდნენ, თუ რა ბოროტებას სჩადიოდნენ და კვალის წაშლის მიზნით, გვამებს ღუმელებში წვავდნენ. ირგვლივ ტრუსის სუნი იდგა. იმ დროიდან 75 წელი გავიდა, მაგრამ იმ ღუმელებს რომ მივუახლოვდი, ტრუსის სუნმა შემაწუხა. ცხადია, წარმოსახულმა !

* * *

მაქსიმალურად შევეცდები აუშვიც-ბირკენაუს ბანაკში ფაშისტთა მიერ ჩადენილ ბარბაროსობაზე საუბარს თავი ავარიდო. მკითხველმა კარგად იცის ფაშისტები რას და როგორ იქმოდნენ — ელი ვიზელით დაწყებული, მიხეილ კვესელავათი დამთავრებული, ამაზე უწერიათ დიდებულ მწერლებს, შეუქმნიათ ბრწყინვალე სპექტაკლები, კინოფილმები, ჩემი რამდენიმე დღიანი ვოიაჟით ბოროტების ყოვლისმომცველი სურათის დახატვა შეუძლებელია და არც ვისახავ მიზნად. ის კი მწადია, მკითხველს ვესაუბრო იმაზე, რაზეც არაერთგზის მიფიქრია — ისტორიულ მოვლენათა პარალელების დაძებნით, მკითხველს კიდევ ერთხელ დავანახო უზენაესის ადგილი და როლი ებრაელი ერის ისტორიაში. ამ პარალელური სურათების გააზრების საკითხში შესაძლოა, ზოგი არ დამეთანხმოს, მაგრამ მე ხომ ჩემს შეგრძნებებზე ვწერ და არა ისტორიის სახელმძღვანელოს: ჩვენ ასეთუისე ვიცნობთ მოსეს ხუთწიგნეულს. ასეთუისე ვიცნობთ-მეთქი ვწერ, რადგან ძველი აღთქმის შესწავლა-შეცნობა, მისი სიმბოლოების, ქვეტექსტების სრულყოფილად გაცნობიერება, მთელი სიცოცხლის გაუნელებელი ძიების საქმეა და ამდენად, თითქმის მიუღწეველი. ვიცით, ბოლო წლებში არქეოლოგთა შრომის შედეგად, რაოდენ დასტურდება ხუთწიგნეულში მოთხრობილი ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის ფაქტები,რაც ხუთწიგნეულის „გამოსვლის“ ნაწილს ლამის დოკუმენტური პროზის იერს აძლევს. მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო ეგვიპტეში ებრაელთა ყოფას — გამოსვლის წინა პერიოდს ე.ი. იმას, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ებრაელები ფარაონის ეგვიპტეში, შემდეგ კი თვალი გადავავლოთ ფაშიზმის გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნების ებრაელობას:

როდესაც უზენაესმა მოსეს ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანა დაავალა და მოსეც ფარაონს ეახლა, ჩემი ხალხი გამოუშვი, გვინდა უდაბნოში ჩვენს ღმერთს ვემსახუროთო, ფარაონმა ებრაელობისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაასასტიკა: „და სცემდნენ ისრაელის ძეთა ზემდეგებს, რომელნიც მათზე დაადგინეს ფაროს ზემდეგებმა, და ეუბნებოდნენ: არ დაგიმზადებიათ ალიზთა დადგენილი ოდენობა არც გუშინ, არც გუშინწინ, არც დღეს.“ (გამოსვლათა,4,13) და შემდეგ: „ იხილეს ისრაელის ძეთა ზემდეგებმა მათი უბედურება, რა ჟამს უთხრეს არაფერი დააკლოთო დღითი დღე დასამზადებელი ალიზების რაოდენობას“(იქვე, 19).

ადამიანების მოკვდინებას ბევრი დრო მიჰქონდა და ხარჯიც დიდძალი სჭიროდა — ტყვიაწამალი, იარაღი ფული ღირდა. რაც მთავარია, დრო იყო საშური. ამიტომ სხვა გზა ირჩიეს: ტყვეთ „აბანოსთან “ მიიყვანდნენ, აშიშვლებდნენ, ძვირფასეულობა აქ დაალაგეთ, დეზინფექციისას არაფრად გჭირდებათო. ჰო, თმასაც გადახოტრავდნენ — თმა დიდად ფასობდა — ას კაცს ამ უზარმაზარ „აბანოში“ შეყრიდნენ — ბანაკში რაიმე სენი არ შემოიტანოთ, შრომაშიც ხელს შეგიშლითო. იქ, აუშვიცის შემოსასვლელში ხომ წერია „შრომა განთავისუფლებთ“, შრომით ეწევით ბედნიერებასო. ესენი მართლა ბედნიერნი იყვნენ, რადგან შრომისთვის ვარგისად სცნეს, ისინი კი — ხანდაზმულნი, სუსტნი, ავადმყოფნი შრომისთვის უვარგისად რომ მიიჩნიეს და ხელმარცხნივ დადექითო, უბრძანეს? ესენიც შეჰყავდათ აბანოში, იქ კი წყალთან ერთად მილებში გაზი მოდიოდა და სულ რამდენიმე წუთში ასი სიცოცხლეწართმეული ადამიანის გვამი გაზის ღუმელებში შესაყრელად მზად იყო. ვიდრე მომდევნო ასი ტყვე „აბანოში“ შესასვლელად, „განწმენდისათვის“ ემზადებოდა, მარჯვე ბიჭებს ასი გვამი ღუმელში უნდა შეეყარათ. იქაც გაზს გაუშვებდნენ, ცეცხლი აალდებოდა, რამდენიმე წუთი და...ფაშისტებმა იცოდნენ, რა ბოროტებასაც სჩადიოდნენ და ყველაფერს ასაიდუმლოებდნენ, — კვალი არ უნდა დარჩენილიყო!აუშვიც-ბირკენაუში ამ მეთოდით გააქრეს 1 მილიონ 500 ათასი ადამიანი.

იმათი ყოფა როგორი იყო, ვინც შრომისათვის ვარგისად მიიჩნიეს, რაგვარი ყოფა ჰქონდათ მანამ სანამ მათი ჯერი დადგებოდა? ტყვედყოფილი ბათშევა დაგანი, მკლავზე ამოტვიფრული ნომერი 45554 — პოლონელი ებრაელი გოგონა იყო. ომის შემდეგ პალესტინაში წავიდა:

— თმა რომ გადამკრიჭეს და სარკეში ჩავიხედე, სრულიად სხვა ადამიანი დავინახე. თმა ქვეშსაგები ლეიბებისთვისაც სჭიროდათ. დილის 4 საათზე გვაღვიძებდნენ. ჭინჭარს ვკრეფდით, ვხარშავდით და ვჭამდით, მერე — კარტოფილის კანებს. სამსახური ასეთი მქონდა: თმაში, ტანსაცმელში ტილები უნდა მომენახა და მომესპო. თმასა და ტანსაცმელში დიდძალი ტილი იყრიდა თავს. ტანსაცმლის მთები იდგა, ერთ-ერთში ჩემი მასწავლებლის სურათი ვიპოვე. საბჭოთა არმია, რომ ბანაკს მოუახლოვდა და გერმანელები გარბოდნენ, აუშვიცში შვიდი ათასი კილო თმა დატოვეს — წაღება ვერ მოახერხეს. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანის თმა იყო — ეს სიტყვები ბათშევა დაგანმა 27იანვარს აუშვიცში გამართულ დიდ საღამოზე

თქვა. სცენის პირდაპირ ჩვენ ვისხედით — სხვადასხვა სახელმწიფოებიდან ჩამოსული ებრაელები, ხელმარჯვნივ 50 სახელმწიფოს მეფეები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, საგარეო საქმეთა მინისტრები, თუ ქრისტიანი, მუსლიმი ლიდერები. უცებ ეს ხანდაზმული ქალბატონი „სამთავრობო ლოჟას“ მიუბრუნდა და სასოწარკვეთილმა შესძახა:

— სად იყავით, რატომ არ გესმოდათ ჩვენი კვნესა!

ტყვედყოფილმა გერმანელმა ებრაელმა ბეიკერმა შთამბეჭდავად დახატა ფაშიზმის პროლოგი:

— ყველაფერი უბრალოდ დაიწყო: ჯერ იყო ბრძანება ებრაელებს და ბოშებს პარკში ამ სკამზე ჯდომა ეკრძალებათო. დიდი ამბავი, ქალაქში იმდენი პარკია... მერე ბრძანეს, ებრაელებს ამ ბასეინზე ბანაობის უფლება არა აქვთო, დიდი ამბავი, ქალაქში რამდენი ბასეინია! მერე ამ მაღაზიაში შესვლაზე გვითხრეს უარი, მერე იმ რესტორანში ჯდომაზე და... მინდა შემოგთავაზოთ მეთერთმეტე მცნება: ნუ იქნები გულგრილი!

ასეთი იყო ებრაელთა ბედი და მდგომარეობა ფარაონის ეგვიპტესა და ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში.

* * *

განვაგრძოთ პარალელების ძიება: მოშე რაბინუს ხუთწიგნეულის „დაბადება“ საკმაოდ ცხადად გვიხატავს ებრაელობისადმი მტრობის შედეგს. ეგვიპტე განადგურდა — ფარაონმა და მისმა არმიამ ზღვის ფსკერზე ჰპოვა სამუდამო „სამეფო.“ ეგვიპტიდან თავდაღწეულმა ებრაელობამ კი მიაღწია უზენაესის მიერ აბრაამის შთამომავლობისათვის აღთქმულ სამშობლოს.

ნანგრევებად იქცა გერმანია, მოისპო ფაშიზმი. ფაშისტებისაგან გადარჩენილი ებრაელობა ისტორიულ სამშობლოს — „სიონის ბჭეს“ (კ.გამსახურდია) დაუბრუნდა, რომელიც პირველ საუკუნეში რომაელებმა დაუნგრიეს და იუდის, ისრაელის, იუდეველთა ხსენებაც კი მოსპეს. ამ დღეების ბარბაროსობამ შვა პალესტინა.

რელიგიურნი მიიჩნევენ და ჩაგვაგონებენ, რომ უზენაესი არა მხოლოდ აღთქმული ქვეყნისაკენ მიუძღოდა ებრაელობას, დღესაც მონაწილეობს მისი ბედის წარმართვაში. მე კი იმის ძალა ვინ მომცა, დავეთანხმო და დავადასტურო რომ ეს ასეა, ან უარვყო და უარყოფაც დავადასტურო. იმას კი ცხადად შევყურებ, ფაქტები, მოვლენათა განვითარების ლოგიკა იმათ მხარესაა, ვინც ამ თეზას ჩაგვაგონებს.

* * *

აშშ წინა ხელისუფლების ხელდასხმით წამოწყებული და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერთა წაყრუებითა, თუ წახალისებით, „ხალხთა დიდი გადასახლება“ მსოფლიოს სახეს უცვლის. ევროპას მუქი ფერი დაედო, მისი ქუჩები კი — საშიში გახდა: არავინ იცის, როდის, სად გამოგენთება და ჩაგცემს დანას ქალი თუ კაცი. ის ფაქტი, რომ ინგლისის დედაქალაქის მერი ფერადკანიანია, ამ ქვეყნის ზოგიერთი ქალაქის სკოლების თეთრკანიან მოსწავლეს კი შავკანიანი ბავშვები აბრიაბრუებენ, დასცინიან რა თეთრი ხარო, განგაშის, ბევრი სიგლახის მაუწყია. ანტისემიტიზმის ბაცილებიც ამ სენშია. დღეს ანტისემიტიზმი მთელს ევროპას, აშშ-ს ედება და ათასგზის საშიშია, ვიდრე კორონავირუსი. არა მხოლოდ ებრაელებს, სხვებსაც, მაგრამ მეტწილად ებრაელებს, თავს ესხმიან ქუჩებში, მაღაზიებში, სინაგოგებში. ამ ორიოდე წლის წინათ, პარიზის სინაგოგა „ვიქტორიაში“ შესვლისას სამჯერ გამაჩერეს ვინ ხარ, რა გინდა, რისთვის მოსულხარო, ასევე იყო ბერლინშიც, ევროპის ბევრ ქალაქში სინაგოგასთან მოტრიალე ბევრი პოლიციელი მინახავს. ამ ჩემს თბილის-ქალაქის სინაგოგასთან კი... მის ირგვლივ სიმშვიდეა... აქ წესრიგის დამცველები არ ჩანან. არ არის საჭირო. ყველაფერი რიგზეა!

* * *

75 წლისთავის წინ დიდი სამზადისი გახლდათ ისრაელშიც: ქალაქის გულში აღმართეს ლენინგრადის ბლოკადის დღეებში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი, ამ სამშვიდობო, ისრაელის უშიშროების განმტკიცების საქმეს სათავეში ჩვენი თანატომელი — ქართველი ებრაელი ბიზნესმენი, მეცენატი და ქველმოქმედი მიხეილ მირილაშვილი ჩაუდგა — სწორედ იგი გახლავთ ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი, რომლის მოწადინება-მონდომებითაც მემორიალი დაიდგა. მემორიალის გახსნაზე რუსეთის პრეზიდენტი ვ.პუტინი, ისე აღელდა, ლამის აცრემლდა.

ადრევე გახდა ცნობილი, რომ იერუსალიმში მხოლოდ ისრაელის, რუსეთის და გერმანიის პრეზიდენტები წარმოსთქვამდნენ სიტყვებს. პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ, ყველაფერი ეს ჩვენს ქვეყანაში ხდებოდაო და სიტყვა მოითხოვა, ეწადა ვ. პუტინისათვის გაეცა პასუხი, რომელიც ნოემბერში ორჯერ შეეხო ომის წლებში ებრაელობისადმი პოლონელების დამოკიდებულებას და ბრალი დასდო ჰიტლერთან თანამშრომლობაში (1938 წ. როცა ჰიტლერს უთქვამს, ებრაელობას მაგადასკარზე გადავასახლებ და იქ ამოშთებიანო, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აღფრთოვანებულა: თუ მაგას იზამთ, ვარშავაში ძეგლს დაგიდგამთო და რუსეთის პრეზიდენტმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტისემიტად მოიხსენია. ამან პოლონეთის ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია: ანჯეი დუდამ განაცხადა, მეორე მსოფლიო ომი ჰიტლერთან ერთად სტალინმა გააჩაღა, რომ ჯერ მსხვერპლად მოვლენოდა ქვეყნიერებას, შემდეგ კი ნახევარ ევროპას დაუფლებოდაო (!!!) და მოითხოვა იერუსალიმში სიტყვა მომეცითო, იერუსალიმიდან უარი შეუთვალეს. იერუსალიმის ტრიბუნა არ გახლავთ ის ადგილი, სადაც რუსეთისა და პოლონეთის პრეზიდენტი უნდა დაპირისპულებულიყვნენ და სადაც სტალინის მიერ ევროპის ოკუპაციაზე უნდა ყოფილიყო საუბარი. ამის გამო ანჯეი დუდა იერუსალიმში არ ჩავიდა. იერუსალიმში ჩავიდა, მაგრამ საზეიმო ღონისძიებას არ დაესწრო უკრაინის პრეზიდენტი ვოლდემარ ზელენსკი: ტყვედყოფილნი არ მიუწვევიათ, ჩვენი დელეგაციის ადგილებს მათ ვუთმობო.

26 იანვარს კრაკოვის ძველ ებრაელთა უბანში გამართულ ვახშამზე რამდენიმე სახელმწიფოს მეთაური გამოვიდა. დამამახსოვრდა გერმანიის პრეზიდენტის ფრანკ- ვალტერ შტაინმაიერის სიტყვები: „ ეს უბედურება ებრაელ ხალხს ჩემმა ქვეყანამ დააწია და ამის გამო დიდ სინანულს განვიცდით“ ვოლდემარ ზელენსკის გამოსვლა კი იმით დამამახსოვრდა, რომ ვერაფერი ვერ თქვა — ილაპარაკა, მაგრამ...ერთობ უსახური გამოსვლა ჰქონდა, დაბნეულიც. სიტყვა რამ დაამთავრა და გადიოდა, ჩემს ახლო მჯდომმა ხორვატიელმა ებრაელმა სხვათა გასაგონად შესძახა: ხვალ წავა და უკრაინელი ნაციონალისტის — ბანდერას ძეგლს გახსნის — იმ კაცისას, რომელიც ებრაელებს ხოცავდა.

* * *

75 წლისთავის მთავარი ღონისძიება დღეს იმართება — 27 იანვარს, სწორედ იქ, ბანაკის ტერიტორიაზე, სადაც ადამიანებს გუდავდნენ, წვამდნენ. დაწყებამდე კარგა ორი საათია, მაგრამ უზარმაზარი დარბაზი (დარბაზი პირობითად ეთქმის ყოფილი ბანაკის ტერიტორიაზე ამ სეფის მაგვარ შემორაგვულ ადგილს) უკვე სავსეა. ცოტა მოგვიანებით დარბაზისა და შეკრებილთა მოსათვალიერებლად გავედი. ჩვენს წინ ტყვედყოფილნი სხედან, მკლავებზე ნომრებამოტვიფრულნი, დღეს უკვე მოხუცნი, წელში მოხრილი 200ტყვედყოფილი ისრაელიდან , ევროპის ქალაქებიდან ჩამოიყვანეს. აქეთ 50 ქვეყნის სიუზერენნი, სასულიერო პირნი: იუდეველნი, ქრისტიანნი, მუსლიმნი...

პირველ სიტყვას ანჯეი დუდა ამბობს. რუსეთის პრეზიდენტთან პოლემიკას გვერდი აუარა — არ შეეხო. აქ ბევრი ებრაელია, ბევრი მოწმე იმისა, რომ ომის წლებში პოლონელები არა მხოლოდ იცავდნენ ებრაელებს, თავთავიანთ სახლებშიც კი მალავდნენ, ღალატობდნენ და გასცემდნენ კიდეც. რა იცი, ვინ რას შესძახებს!

იმ დღიდან მოყოლებული, როცა 2013 წ. მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს, კონგრესის პრეზიდენტს რონალდ ლაუდერს მრავალგზის შევხვედრივარ. მისი გამოსვლები იერუსალიმსა, თუ ნიუ-იორკში, პარიზსა., თუ ბუდაპეშტში, ბუენოს აირესსა, თუ სხვაგან და სხვაგან მომისმენია. 27 იანვარს კი დიდებული სიტყვა წარმოთქვა. ეს იყო გამოსვლა ინტელექტუალის, მსოფლიო მოქალაქის, პიროვნებისა, რომელიც კაცობრიობის ინტერესების სადარაჯოზე დგას და თავისი ერის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებზე მსჯელობს. მისი სიტყვა ხალხთა, ყოველი კონტინენტის მცხოვრებთა და თავისი ერის — ებრაელობის ადამიანური ცხოვრების, შრომის სუფევის, პროგრესისათვის ბრძოლის სულისკვეთებით გახლდათ გასხივოსნებული. გამოვიდა ადამიანი, დადგა სცენაზე და დაიწყო საუბარი ადამიანთა უბედურებაზე. ლაპარაკობდა თავისი სათქმელის სისწორეში სრულიად დარწმუნებული ძლიერი კაცი, რომელსაც მტკიცედ სჯერა ის, რასაც ამბობს და მოითხოვს, ყური მიუგდონ, ნათქვამი გაიაზრონ. ცხადი იყო, რომ მხოლოდ მე არ ვიყავი მოხიბლული როლანდ ლაუდერის გამოსვლით — ეს უზარმაზარი — მრავალათასიანი დარბაზი სულგანაბული უსმენდა. სიტყვის მეორე ნახევარში ვიგრძენი: უკვე არა იმდენად ჩვენ, რამდენადაც სახელმწიფოს სიუზერენთ მიმართავდა. და აი, ვაჟკაცთა წარმოსათქმელი და არც თუ იოლად მოსასმენი სიტყვები:

— თქვენ, მთავრობათა წევრებო, მეთაურებო, ყველაფერზე ხართ პასუხისმგებელნი — ზოგჯერ თქვენი პოლიტიკური ამოცანების გამო, ისეთ ნაბიჯებს დგამთ, რომელსაც სისხლისღვრა, კაცთაკვლა მოსდევს, ფრთხილად! — ძლიერი ტაში ატყდა, შეიძლება ითქვას, აგუგუნდა.

ვინ არის როლანდ ლაუდერი, აქვს კი უფლება (და რწმენა, რომ მის ნათქვამს შეისმენენ), ასეთი გაბრაზებული ტონით მიმართოს სახელმწიფოთა მეთაურებს? მისი მშობლები ფაშიზმს უნგრეთიდან აშშ-ში გაექცნენ. იქ საპარფიუმერიო ბიზნესი წამოიწყეს. საპარფუიმერიო საქმის მაგნატის —

ესთი ლაუდერის შვილია, მილიარდელი, ერთ დროს იყო აშშ ელჩი ავსტრიაში. ამ წლებში შეისწავლა ავსტრიის პრემიერ-მინისტრის ბიოგრაფია — აღმოაჩინა, რომ ფაშიზმთან თანამშრომლობდა, გადააყენებინა. ბიზნესმენები ხშირად აფინანსებენ პრეზიდენტებისა, თუ პარტიების არჩევნებს. მასაც დაუფინანსებია. ასე რომ, მას აქვს უფლება შესძახოს ის, რაც მკაცრად შესძახა

* * *

დაღამდა. აუშვიცის თავზე სიბნელე ჩამოწვა. გამოგვიცხადეს, ადგილებზე დარჩით, სახელმწიფოთა წარმომადგენლები ბანაკში დაღუპულთ სანთლებს დაუნთებენ და მობრუნდებიანო. ბანაკის სიღრმისაკენ გაეშურნენ. თანდათან გვშორდებიან, შუშებში მოქცეული სანთლები სიბნელეში ციმციმებენ. ადამიანები ნელ-ნელა მიიწევენ წინ. ეს მსვლელობა როგორ ჰგავს დევნილთა, სამყაროში თავშესაფრის მაძიებელ ადამიანთა უხმო სვლას, სიბნელედაუფლებულ ცისქვეშეთში ადამიანთა გმინვაც მოისმის — სამყაროს რომელ კიდეს არ აწყდებიან შვილის მაძიებელი ღვთის შვილნი, სანთლები კი ციმციმებენ და ნელ-ნელა, თანდათან სიბნელეში იკარგებიან, ისევე ქრებიან, როგორც ისინი გაქრნენ სამყაროდან,

მაგრამ მაინც შეიკრა დროთა კავშირი: მაშინ გაზით აშთობდნენ, მერე ღუმელებში წვამდნენ, რომ მათი კვალიც გამქრალიყო, დღეს იმათი შვილიშვილები, შვილთაშვილები სანთლებს უნთებენ და ცდილობენ მათს სულებს ჯოჯოხეთიდან — ამ ბანაკებიდან — გამოსასვლელი გზა გაუნათონ.

კრაკოვი, აუშვიცი-ბირკენაუ, იანვარ-თებერვალი

საქართველოს ებრაელი მეცნიერები

მე 19–20 საუკუნეები

პროფესორი
დოდო ჩიკვაშვილი –
თელ–ავივის უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკ-ტი

(დასაწყისი იხ. „მ“ №1)

პროფესორი **შალვა ცივიონი** (წიწუაშვილი) (1929–2011) – ისრაელის მეტეროლოგიის ინსტიტუტის პრეზიდენტი(1990–1993), თელ–ავივის უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორი. 50 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. შეჰქმნა თეორიული მოდელი „ზესიძლიერის ენერგეტიკული კოშკი“. ამოსვლისთანავე უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოდან რეპატრირებულ მეცნიერთა ისრაელში დამკვიდრებას. ისრაელის მეტეროლოგიურმა საზოგადოებამ 2014წელს სპეციალური სამეცნიერო კონფერენცია გამართა პროფ. ცივიონის ხსოვნის საპატივცემოდ. ჩვენი ქვეყნის პოლიტკორექციის აქტიური მებრძოლი ბრძანდებოდა ბატონი შალვა.

ფიზიკა–მათემატიკის დოქტორი **დავით კოტლარევსკი**(1931–2004) მოღვაწეობდა ფიზიკის ინსტიტუტში კოსმიური სხივების ლაბორატორიის გამგედ. 100 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი – **ისაკ ენუქაშვილი** (1930-2018) მუშაობდა საქართველოში გეოფიზიკის და ისრაელში მეტეროლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 100–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. კვლევამ „ღრუბლების და ნალექების მიკროფიზიკა“ საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა.

პროფესორი **თენგიზ (იოსებ) ზონენაშვილი** (1932-2014) – თეორიული მექანიკის კათედრაზე მოღვაწეობდა. საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სამეცნიერო საატესტაციო კომისიის წევრი ხარისხების მინიჭებაში თვითმფრინავ- და მანქანათმშენებლობის დარგში. 100 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ივ.ჯავახიშვილის სახ. ორდენით.

თბილისის პედაგოგიური (ალ. პუშკინის, შემდგომ სულხან-საბას სახ.) ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის დოცენტი, დოქტორი **კარლო ზონენაშვილი** (1937–2010) დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და სიგელით „შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის“.

პროფესორი **მარკ პერელმანი** (1937–2010) კიბერნეტიკის ინსტიტუტის მრავალი მეცნიერის დამკვალიანებელი და ხელმძღვანელი. 150 სამეცნიერო ნაშრომის, რიგი პატენტების, 2 მონოგრაფიის და სამეცნიერო–პოპულარული ნარკვევების ავტორი. ისრაელში გამოქვეყნებული აქვს მასალები თეორიული ფიზიკის საკითხებში. ფიზიკა–მათემატიკის დოქტორი მარკ პერელმანი თვლიდა, რომ ისრაელის არცერთ მოაზროვნე მოქალაქეს უფლება არ აქვს განზე გაუდგეს პოლიტიკას: ინტერნეტში მისი ავტორობით 150–ზე მეტი სტატიაა გამოქვეყნებული „პოლიტიკის მიმდინარე პრობლემები: მათი ანალიზი და პერსპექტივები“.

დოქტორი **აბრამ პაპისმედოვი** (1933) ფუნდამენტალური მონოგრაფიის ავტორი „საქართველოს მინერალური რესურსები და მათი რაციონალური დამუშავების პრობლემები“ – სახელმწიფო პრემიის ლაურეატია; წიგნი კი დღემდე რჩება ყველაზე მნიშვნელოვან დამხმარე სახელმძღვანელოდ ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

პროფესორი **ალბერტ შათაშვილი** (1935) ფიზიკა–მათემატიკის დოქტორი; 1966 წელს მიწვეულია დონეცკის უნივერსიტეტში კათედრის გამგედ. 2 მონოგრაფიისა და 160 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი წვლილი მრავალი სახელმწიფო ჯილდოთია აღნიშნული.

თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ხელს უწყობნენ და მფარველობდნენ მეცნიერები: დოქტორები **ალბერტ გორელაშვილი** (ნიუ–იორკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი), **ხაიმ თეთრუაშვილი, მიხეილ კრიხელი** (აღსანიშნავია მისი წვლილი მათემატიკური ანალიზის კვლევის საკითხებში).

მათემატიკის დოქტორი **ბორის კრიხელი** წარმატებით მოღვაწეობს აშკელონის და არიელის უნივერსიტეტში.

პროფესორი **ვახტანგ პაატაშვილი** (1936-2017) - აღიარებული ექსპერტი სასაზღვრო ამოცანების თეორიაში, მოღვაწეობდა რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფიები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ათობით კონფერენციის მონაწილე. დაგვიტოვა ძვირფასი მეცნიერული და გენური მემკვიდრეობა:

მათემატიკოსები **დავით და თამარ პაატაშვილები**.

პროფესორი ფიზიკა–მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დავით ბააზოვი** (1937) თსუ კურსდამთავრებულია ბირთვული ფიზიკის სპეციალობით. გახლდათ ფოტოსინთეზის პრობლემული ლაბორატორიის და სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტის მათემატიკური მოდელირების კათედრის პროფესორი; ისრაელში: თელ–ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და რუპინის სახ. აკადემიური ცენტრის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორია. არჩეულ იქნა გაერო–სთან არსებული ინფორმატიზაციის აკადემიის აკადემიკოსად. რიგი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორია.

დოქტორი **მოსე დანიელაშვილი**(1938) საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ავტორია 70–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის. ლექტორია არიელის უნივერსიტეტში; სამოქალაქო მშენებლობის პროექტების კვლევის საკითხებში ექსპერტი და კონსულტანტია.

მათემატიკოსი, დოქტორი **ამირან იანეცი(ჩაჩანაშვილი** — 1940–2012) თსუ მექანიკა–მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გამოთვლითი მათემატიკის განხრით. იმ ხანად (1965) მნიშვნელოვნად აქტუალური გახლდათ მაღლივი თაღოვანი კაშხლების სიმტკიცის გაანგარიშებისათვის ვარიაციული მეთოდების გამოყენება, რომელსაც დოცენტი ალექსანდრე ხვოლესი (1920-2017) ხელმძღვანელობდა. ამ საამაყო მათემატიკოსების თანამშრომლობა ნაყოფიერი აღმოჩდა. ა. იანეცი ისრაელში მუშაობდა მეტეროლოგიის ინსტიტუტში კვლევისა და განვითარების განყოფილებაში და პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ბარ–ილანის უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ ამ პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი კვალი გაავლო რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილმა, ენათმეცნიერმა მოტკე მამისთვალოვმა, იაკობ ხვოლესმა. დოქტორი ამირან იანეცი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელთა და ინჟინერთა ოლე ხადაშების აბსორბციის გაადვილების საქმეში.

პროფესორი **ომარ დავარაშვილი** (1941) თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განყოფილების გამგე, ავტორი გახლავთ 16 პატენტისა, 6 მონოგრაფიის და 180 პუბლიკაციისა. დაჯილდოებული იყო პროხოროვის ფონდიდან (1993), ვერნადსკის (1998) და კაპიცას (2007) სახელობითი პრიზების ლაურეატია.

თემის საამაყო მეცნიერი წარჩინებული პროფესორი **ისაკ ელიშაკოვი** (1944) მოსკოვის ენერგეტიკისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მუშაობდა (1972–1975) ხაიფის ტექნიონში, ნორტდამის, დელფტის უნივერსიტეტებში. 1989 წლიდან ფლორიდის უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის კათედრის პროფესორი და ხელმძღვანელი გახლავთ. მსოფლიოში წამყვანი სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რედკოლეგიის წევრი, ერუდიტი მეცნიერი მრავალი აკადემიის საპატიო და მიწვეული პროფესორია. აერონავტიკის და ასტრონავტიკის განვითარების სფეროში წვლილისათვის მისდა საპატივცემოდ, გაიმართა არაერთი სიმპოზიუმი, სემინარი და სამეცნიერო სხდომა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი 2010 წლიდან, 400–ზე მეტი ნაშრომის ავტორი, საპატიო რეგალიებისა და ჯილდოების მფლობელი პიონერივით მზადაა თემის გვერდში ამოდგომაში და ისრაელის ქვეყნის საკეთილდღეოდ ბრძოლაში. საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერი ისაკ ელიშაკოვი 15 წიგნის და 10 მონოგრაფიის ავტორია.

(დასასრული იქნება)

„ჩვენ ვართ სოვდაგართა შვილები, მაგრამ წინასწარმეტყველთა შთამომავალნი“ - ხაიმ ვაიცმანი

საქართველოს ებრაელთა სალოცავები

მოშე დანიელი (მოსე დანიელაშვილი)
ინჟინერ-მშენებელი,
მეცნიერებათა დოქტორი,
არიელის უნივერსიტეტის პროფესორი,
ისრაელი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №1)

მეორე სართულის სალოცავ დარბაზს სამ მხარეზე გარს უვლის ტრადიციული ქალთა გალერეა (ებრ. ყეზარათ ნაშიმ), რომელსაც დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს ეზოდან.

არონ-ჰაკოდეშის და თების ადგილმდებარეობა ქვედა სალოცავი დარბაზის ანალოგიურია. მეორე სართულზე თაღოვანი კონსტრუქცია შეცვლილია და მათი ბურჯების გაგრძელება ზეაღმართულია ორ-ორი წყვილი სვეტი, რომლებსაც ეყრდნობა ანტრესოლის სართული–ქალთა გალერეა. ანტრესოლის სართული მოწყობილია სამ მხრივ-მთავარი ფასადის მხარეს და გვერდითი ფასადების კედლების გასწვრივ. მთავარი ფასადის გასწვრივ სიგანე არის 6 მ, გვერდითი ფასადების გასწვრივ-2.5 მ. მეორე სართულის იატაკის დონეზე არის ლითონის კოჭებზე დაგებული ბეტონის აივანი სიგანით 1.6მ. შენობის სახურავი ორქანობიანია, სხვენიანი, ხის სამკუთხა ფერმებით. მათი მალი 14.5 მ-ია, სიმაღლე კეხში -3.0მ. ფერმებს შორის მანძილი 3.0 მ-ია. ფერმების ქვედა სარტყელი მოწობილია ორ დონეზე ერთმანეთისაგან 1.2მ -ის დაშორებით. შენობის შიდა ნაწილში ანტრესოლებს შორის 4 ფერმას ქვედა სარტყელი ლითონის მრგვალი ღეროსაგანა აქვს დიამეტრით 28 მმ.ჭერი ფერმებზე შეკიდული ხის კონსტრუქციისაა გაჯის ბათქაშით, სახურავის ბურული თუნუქის ფურცლებისგანაა. მეორე სართულის სალოცავი დარბაზის ფართი 254.5 კვ.მ-ია, დაახლოებით 200 მლოცველის ადგილით, სიმაღლე (ნეტო) ცენტრში- 7,70მ, ანტრესოლის ქვეშ-4,7 მ.კედლების სისქე ცვალებადია-85.0; 95.0; 105სმ.

სივრცის არქიტექტონიკით ზედა დარბაზი სამნავიან სალოცავებს (უძველესი ტიპის “იუდაიკის” მიხედვით) მოგვაგონებს. სკამების განივი განლაგება, როგორც ქვედა, ისე ზედა სალოცავ დარბაზში ძირითადად აშქენაზურ ტრადიციას შეესაბამება--განლაგებულია განივად. ორივე დარბაზის ინტერიერი, კიბის უჯრედის და შესასვლელის კედლები, ასევე ჭერი მთლიანად მოხატულია. ნახატის თემატიკაა მცენარეული მოტივები, ორნამენტი და ორდერული ვარიაციები. მთელ ამ ჰარმონიაში მონაწილეობს შრიფტის პლასტიკა. დარბაზებს ამშვენებენ დაფები თორის ტექსტებით. ტექსტები გამოყენებულია კედლების მოხატულობასთან სინთეზში. “თება” და “არონ-ჰაკოდეში” ორივე დარბაზში ხისაა, რთული პროფილებით და ორნამენტული დამუშავებით. ოსტატური ნამუშევარია “ჰეხალის”ლურჯი ფარდა ოქროსძაფით ნაქარგი ლომების გამოსახულებით. უძველესი ტრადიცია ითვალისწინებს ქალთა გალერეის აქტიურ მხატვრულ გაფორმებას. თბილისის სინაგოგაც ამ ტრადიციას ეხმიანება. ხუროთმოძღვრული სტილების კლასიფიკაციით “დიდი ლოცვა” რომანულ სტილს განეკუთვნება – მისთვის დამახასიათებელი შეულესავი აგურის წყობითა და დეტალებით, ვერტიკალური პილასტრების და კარნიზების ერთიანი სტრუქტურით, ფასადის ცენტრში აგურის წყობით გამოყვანილი დიდი წრიული ღიობით და ფასადის ტრაპეციული დაგვირგვინებით, რომელსაც მაგენ დავითის ფერადი ვიტრაჟი ამშვენებს. ამ აღწერით “ახალციხელების ლოცვის” თუმანიანის ქუჩაზე გამომავალი სამხრეთის ფასადი პრქატიკულად თბილისის აშქენაზების ძველი სინაგოგის ფასადის იდენტურია.დროთა ვითარებაში თავი იჩინა შენობის განლაგებამ რთულ რელიეფზე, ფერდობზე. ქვედა ეზოს, კოტე აფხაზის ქუჩის მრიდან და ზედა ეზოს, თუმანიანის ქუჩის მხრიდან, ზედაპირის ნიშნულებს შორის სხვობა 6.5 მ-ია. ქვედა დარბაზის კედელი მთლიანად და ზედა დარბაზის კედლის 75 სმ ეზოს ზედაპირის ნიშულის ქვეშაა. 1990 წლისთვის კედელში გაჟონა წყალმა, ქვედა დარბაზში ეხალის კედელში გაჩნდა სინესტე, დაზიანდა კედლის წარწერები, ლოცვის შესრულება საფრთხის ქვეშ დადგა. ამავე დროს კედლებში გამოვლინდა ბზარები. ქვედა დარბაზის იატაკი კუთხეებში მნიშვნელოვნად დაიხარა, 5-10 სმ-ით ჩაიწია, დაზიანდა სახურავის საფარი ბურვილი, ტუალეტის და ფრინველის საკლავი შენობები მოინგრა და სხვ. ამრიგად დარღვეული იყო სალოცავის ნორმალური ფუნქციონირების პირობები. სალოცავი საჭიროებდა მნიშვნელოვან სარემონტო სამუშაოებს, ამასთან მეტად მნიშვნელოვანი იყო წყლის გაჟონვის მიზეზების და წყაროების გამოკვლევა-დადგენა და მათი აღმოფხვრა. აღნიშნულის გამო სალოცავის გამგეობის მიერ (თავმჯდომარე ბ-ნი ა.თეთრუაშვილი (1990 წ .), შემდეგ ბ-ნი ი.დავითაშვილი (1995 წ.) ჩემს--ამ დარგის ინჟინრის წინაშე დაისვა საკითხი გამომეკვლია ამ დაზიანებების მიზეზები და დამემუშავებინა მათი აღმოფხვრის ღონისძიებები, რითაც შეიქმნებოდა სალოცავის ნორმალური ფუნქციონირების პირობები. ამ მიზნით ჩატარდა შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური და ტექნიკური გამოკვლევები, რომელთა შედეგად დადგინდა “ეხალის” კედლის დასველების წყაროები და დაისახა მათი სალიკვიდაციო ღონისიებები, შესწავლილ იქნა კედლებში ბზარების წარმოშობის მიზეზები, მათი გავლენა შენობის სიმტკიცესა და მდგრადობაზე, დამუშავდა დაზიანებების გავლენის უვნებელყოფის ღონისიებები, დადგინდა იატაკის დახრის მიზეზები და მათი გამოსწორების რეკომენდაციები. გამოკვლევის შედეგები (გამოკვლევები ჩავატარეთ და რეკომენდაციები დავამუშავეთ მე-- ტენ.მეცნ. კანდიდატებმა მ.დანიელაშვილმა და ბ. სამკოვმა ფიზ.მათ. მეცნ კანდიდატის ვ.ზაალიშვილის თანამონაწილეობით; შენობის ვიზუალურ გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერმა გ. შათაშვილმა) საფუძვლად დაედო შესასრულებელი სამუშაოების ტექნიკურ პროექტს (შემსრულებლები მ.დანიელაშვილი და ინჟ. ვ.ბოტეზატი). გამოკვლევის შედეგების განხილვაში სალოცავის გამგეობასთან ერთად მონაწილეობდნენ რაბინი არიელ ლევინი,”ჯოინთის” წარმომადგენელი კავკასიაში ბ-ნი მენახემ ელაზარი, ნისან ბაბალიკაშვილის სახ. საქართველოს ებრაელთა მატერიალური კულტურის ფონდის თავმჯდომარე, არქიტექტორი შოთა ბოსტანაშვილი, მწერალი, გაზეთ “მენორას”რედაქტორი გურამ ბათიშვილი. 1995 წლიდან მოყოლებული ეს პროექტი იმ ეკონომიკურად მძიმე წლებში სალოცავის გამგეობის მიერ გამოყოფილი თანხით” ჯოინთის” ფინანსური მხარდაჭერით (“ჯოინთის”წარმომადგენელი კავკასიაში ბ-ნი მენახემ ელაზარი) გარკვეულწილად მნიშვნელოვნად განხორციელდა: გამოიცვალა დაზიანებული წყალსადენ-კანალიზაციის სისტემა, ეხალის კედელთან მოეწყო დრენაჟი და ასფალტის ახალი საფარი, ჩატარდა კედლის საიზოლაციო სამუაოები, აშენდა ტუალეტის და ფრინველის საკლავის ახალი შენობა, მოეწყო სახურავის თუნუქის ახალი ბურვლი, ქვედა დარბაზის ეხლის კედელზე აღდგა დაზიანებული და წაშლილი მოხატულობები,ზედა დარბაზის სკამები გაიწმინდა და ლაქით დაიფარა და სხვ.

ბოლო ხანს ლოცვაში ჩატარდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაო როგორც ნაგებობის გარემონტების, ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობის თვალსაზრისით; მოეწყო რაბინების მემორიალი. ამავე დროს უნდა შევნიშნო, რომ ლოცვის ფასადი თეთრად შეიღება და ეცვალა ფერი, ფასადის ორიგინალური ფერის შეცვლა კი ისტორიულად მნიშვნელოვანი ნაგებობისათვის მიზანშეწონილი არ არის.

ლოცვის მაცოცხლებელი ძალა მლოცველი ჯამაათია, ლოცვების წამმართველი თალმიდ - ხახმები და რაბინები. ებრაულ ენაზე ლოცვის სახელი ხომ “ბეით ქნესეთია”, რაც საკრებულოს, შესაკრებ სახლს ნშინავს. 1980-იან წლებამდე ახალციხელების ლოცვა ხალხმრავლობით ხასიათდებოდა, განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში, მლოცველების რაოდენობა 1500 -მდე იყო, რომ იტყვიან ფეზე დასადგომი ადგილიც კი საძებარი გახლდათ, ეზოც კი ხალხით იყო გადაჭედილი. აი, ამ ჯამაათს 1913 წლიდან ფეხჩაუფერხებლად საბჭოთა წყობილების მძიმე ეპოქაში თავდადებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ემსახურებოდნენ ნეტარხსენებული რაბინები და თალმიდ-ხახმები (დიდ ბოდიშს ვიხდი იმათი ხსოვნის წინაშე, ვისაც ვერ ვიხსენებ): იაკობ და ისრაელ ნამთალიშვილები, იეხისკიელ თეთრუაშვილი(1860-1933), ბინიამინ ბაბალაშვილი(1887-1956), ბინიამინ ჯანაშვილი (1891-1966), ყიმანუელ დავითაშავილი (1908-1982), ისრაელ ბაბალიკაშვილი (1899-1971), აბრამ ჯანაშვილი (1911-1982), მოშე ჯანაშვილი(1910-), ქოენი ფინხას ხარაზიშავილი (1946-1998), იცხაკ აჯიაშვილი (1930-), დავით ბუზუკშვილი და სხვ. აქვე შევნიშნავ, 1953 წელს ახალციხელების სალოცავი რომ დაკეტეს, რაბი ყიმანუელ დავითაშავილი, რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილი და ხახამი აბრამ ჯანაშვილი ყოვლად უსაფუძვლოდ დააპატიმრეს. ისინი მხოლოდ სალოცავის გახსნის შემდეგ გაანთავისუფლეს და კვლავაც თავდადებულად განაგრძეს ჯამაათის სამსახური. დღეს თბილისის ახალციხელების სალოცავი ტურისტული თვალსაზრისითაც ერთ-ერთი მნივნელოვანი ობიექტია. სალოცავს ყოველდღიურად უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს. განსაკუთრებით აქტიურობენ ისრაელიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოსული ებრაელი ტურისტები.

სალოცავის სიცოცხლე გრძელდება!

შოთა ბოსტანაშვილი და მოსე დანიელაშვილი. 1995 წ.

1.2. აშქენაზების მოქმედი ლოცვა.

კოტე აფაზის ქუჩას მიერთებულ ტყავის ჩიხში, ახალციხელების ლოცვიდან დაახლოებით 300 მ-ის დაშორებით, მდებარეობს 2009 წლიდან “ბეით რახელის” სახელად წოდებული ე.წ. აშქენაზების ლოცვა. დღევანდელი აშქენაზების სალოცავი თავდაპირველად ლახლუხების-სპარსეთიდან და ქურთისტანიდან, ქალაქ ურმიიდან (თანამედროვე რეზაიე), თბილისში შემოსული ქალდეველი და ფარსისტანის ებრაელებისა იყო, მათი გამოჩენა თბილისში 1828 წლიდან იწყება. ზაქარია ჭიჭინაძე წერს: “ქალდეველთა ებრაელნი.ამათი გამრავლება საქართველოში მე-19 საუკუნის დამდეგიდამ იწყება, ანუ საქართველოს რუსეთთან დაკავშირების 20 წლის შემდეგიდამ. როგორც ურუმიის და ნინევის ქალდეველთა იწყეს საქართველოში გადმოსახლება, ისევე მათ ებრაელთაც დაიწყეს. დღეს საქარველოში და ნამეტურ თბილისში ქალდეველ ებრაელთა რიცხვი საკმარისია... ფარსისტანის ებრაელნი. სცხოვრობდნენ მთლად სპარსეთს და ფარსისტანს. ლაპარაკობენ ფარსულად, იცმევენ მათებურად, საქართველოშიაც არიან მცირედ, იციან ქართული ენა და თავს ირჩენენ იარების მკურნალობით. ქართველთ ებრაელთ უადვილესად უახლოვდებიან და ენათესავებიან, ამათ სალოცავშიც დადიან. მაინც აღსანიშნავია, რომ ქართველთ ებრაელნი კავკასიის სხვადასხვა ებრაელთ უფრო ადვილად უახლოვდებიან, ვიდრე ევროპის და რუსეთის ებრაელთ“.

(გაგრძელება იქნება)

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

მ ი ი შ პ ა ტ ი მ

ავიმელეხ როზენბლატი

კვირის საკითხავი თავი „მიშპატიმ“ განსაკუთრებულია: ეგვიპტიდან გამოსვლისა და თორის ბოძების თაობაზე თხრობა წყდება და ადამიანთა შორის ურთიერთობების რეგლამენტირების კანონები ერთვება. ერთ-ერთი ასეთი მცნება (მიცვა) „ლაშონ ჰარას“ --ბიროტი ენის მოსმენის აკრძალვაა. ჩვენს აზრებსა და სიტყვებს კოლოსალური ძალა აქვთ და ცუდი სიტყვა, ან ცუდად ფიქრი ვინმეზე, იმის მიუხედავად გვესმის ეს, ან აგვსურს თუ არა გაგება, გავლენას მოახდენს ადამიანის სიცოცხლეზე, ზიანს მიაყენებს მას.“ მიშლეიში“ ნათქვამია –„სიცოცხლე და სიკვდილი ენის ძალაუფლებაშია“ - და ეს ნათქვამია არა მარტო თავად სიცოცხლესა და სიკვდილზე, არამედ სიცოცხლის ხარისხზეც. არასწორი სიტყვა ხომ იმაზე მეტად გვიტოვებს ნაიარევს, ვიდრე დარტყმა. ადამიანი სამყაროს ყველა ქმნილებისაგან სწორედ მეტყველების უნარით გამოირჩევა, და თუ ჩვენ არასწორად ვიყენებთ ამ საჩუქარს, ვარღვევთ ქმნადობის მიზანს.

სინამდვილეში, როდესაც ლაშონ ჰარას--ავ სიტყვას ვამბობთ, უმეტეს შემთხვევაში, რეალურ სარგებელს ვერ ვიღებთ. მაშინ, რატომ ვაკეთებთ ამას? თუ მიზეზს გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ ეს ხდება საკუთარი თავის ამაღლების მოთხოვნილებით, ასევე იმის გამო, რომ გვსურს გავიმართლოთ თავი, ჩვენი „მე“. საკუთარ თავს ხომ გამუდმებით სხვებს ვადარებთ. ამის შესახებ ჩვენმა ბრძენებმა თქვეს: “მან, ვისაც აღზევება სურს, თავისთვის ამაღლებული ადგილი აიშენოს, სხვას კი ნუ უთხრის ორმოს“.

მეორე მიზეზი ისაა, რომ ამისგან სიამოვნებას ვიღებთ. ისე მივეჩვიეთ ლაშონ ჰარას, რომ მის გარეშე საუბარს ვეღარ წარვმართავთ. თორა გვესაუბრება საკუთარი თავის აღზრდაზე და გვაძლევს საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც შეგვიძლია შევეწინააღმდეგოთ ამ თვისებებს, გვასწავლის, როგორ ვიპოვოთ სხვებში ღირსებები და არა სისუსტეები.

საუკეთესო რჩევაა - აუცილებლობის არარსებობის შემთხვევაში ადამიანებს ნაკლებად ვესაუბროთ. დასაწყისში რთული იქნება, რადგანაც აღმოჩნდება, რომ ჩვენს სიტყვათა უმეტესობა სხვებს და მათ შეფასებას ეძღვნება. უნდა შევეცადოთ და დროთა განმავლობაში დავინახავთ, რომ სხვა თემებიც არსებობს სასაუბროდ.

თუ ვინმე ლაშონ ჰარას ამბობს, შეიძლება ფრთხილად გამოვცვალოთ თემა. ვინც ისმენს, ხომ ასევე არღვევს ლაშონ ჰარას აკრძალვას.

თუ საკუთარ თავს ატყობთ, რომ ვინმეზე ლაშონ ჰარას ამბობთ, უნდა შეეცადოთ, მაშინვე გამოასწოროთ შეცდომა და შეაქოთ ის. რა თქმა უნდა, დასაწყისში ეს ხელოვნურად მოგეჩვენებათ, მაგრამ თანდათან ჩვევაში გადაიზრდება.

შემდეგი რჩევა: მანამ სანამ ავ სიტყვას--ლაშონ ჰარას წარმოვთქვამთ, გავიხსენოთ, რამდენად არ გვესიამოვნებოდა, თუ ჩვენზე რაიმე მსგავსს იტყოდნენ.

ზოგჯერ აუცილებელია რომელიმე ადამიანთან დაკავშირებულ პრობლემაზე საუბარი. ისე უნდა მოვყვეთ, რომ ვერ მიხვდნენ ვისზეა საუბარი.

ერთი ადამიანი თავის რაბისთან მივიდა და ჰკითხა: „უკვე შეიტყვეთ, რას ამბობენ თქვენს ამხანაგზე“?

„არა“ - უპასუხა რაბიმ - „მაგრამ, მანამ მოყოლას დაიწყებ, მითხარი, ეს ამბავი სამ საცერში გაატარე“?

„ეს რას ნიშნავს“? - იკითხა სტუმარმა.

„პირველი საცერი“ - ეს სიმართლეა“ - მიუგო რაბიმ - „დარწმუნებული ხარ, რომ ის, რის მოყოლასაც ჩემს ამხანაგზე აპირებ - სიმართლეა“?

სტუმარს ყოყმანი დაეტყო: „სინამდვილეში მთლად დარწმუნებული არ ვარ, ეს ხომ სხვისგან შევიტყვე“. მეორე საცერი რომელია“?

„მეორე - სიკეთის საცერია“. არის თუ არა შენი სათქმელი კარგი ამბავი“?

„პირიქით“ - უთხრა სტუმარმა - „ეს ძალზე არასასიამოვნო რამაა. მესამე საცერი“?

„მესამე აუცილებლობის საცერია. რამდენად აუცილებელია ჩემი ამხანაგის შესახებ ამბის ჩემთვის მოყოლა, თუ არაა ცნობილი - მართალია ეს თუ არა“?

მცირე პაუზის შემდეგ სტუმარმა ამოიოხრა და თქვა: „ არა, ეს არც ისე აუცილებელია“.

„თუ ასეა“ - უთხრა რაბიმ - სჯობს ჩუმად იყო“.

ხეფეც ხაიმზე ამბობენ: ერთხელ მატარებლით მგზავრობდა. უკვე ცნობილი ადამანი იყო და მეზობელ ქალაქში ლექცია უნდა ჩაეტარებინა. ვაგონში თანამგზავრმა მიმამართა და უთხრა, რომ დიდი რაბის, ხაფეც ხაიმის, ლექციაზე მიემგზავრებოდა და ძალიან ნერვიულობდა. უპასუხა ხაფეც ხაიმმა, რომ ეს რაბინი არც ისე დიდი და მნიშვნელოვანია, ჩვეულებრვი ებრაელია. გაბრაზდა მისი თანამგზავრი და დაარტყა. როდესაც ლექციაზე მისულმა რაბი დაინახა და მიხვდა, თუ ვის გაარტყა, შეცბა, მიუახლოვდა ხაფეც ხაიმს, მან კი უთხრა: „არ ინერვიულო, შენი მადლიერიც კი ვარ, რადგანაც მასწავლე - საკუთარ თავზეც კი არ შეიძლება ლაშონ არას თქმა“.

რომელ ქვეყანაში რამდენი ებრაელი ცხოვრობს?

ისრაელის გაზეთმა „მაკორ რიშონ“ გამოაქვეყნა პროფესორ სერჯიო დელლა პერგოლას დემოგრაფიული გამოკვლევის შედეგი. პროფესორი ეყრდნობოდა ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს, აშშ ებრაულ ყოველწლიურ კრებულს AJYB და ებრაული სააგენტოს მონაცემებს:

პირველი ათეული

1.ისრაელი — 6.558.100,
2.აშშ — 5.700.000,
3.საფრანგეთი — 453.000
4.კანადა — 390.500,
5.დიდი ბრიტანეთი — 290.000
6.არგენტინა — 180.300,
7.რუსეთი — 172.000,
8.გერმანია — 116.000,
9.ავსტრალია — 113.400
10.ბრაზილია — 93.000

მეორე ათეული

11.სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — 69.000,
12.უკრაინა — 50.000,
13.უნგრეთი — 47.000,
14.მექსიკა — 40.000,
15.ნიდერლანდები — 29.000
16.ბელგია — 29.000,
17.იტალია — 27.000,
18.შვეიცარია — 18.600,
19. ჩილე — 18.000,
20.ურუგვაი — 16.700.

მესამე ათეული

21.თურქეთი — 15.000,
22.შვეცია — 15.000,
23. ესპანეთი — 11.700,
24.პანამა — 10.000
25. ბელორუსი — 9.500,
26.რუმინეთი — 9.000,
27. ავსტრია — 9.000,
28.ირანი — 8.500,
29. აზერბეიჯანი — 7.800,
30. ახალი ზელანდია — 7.500.

მეოთხე ათეული:

31. ვენესუელა — 7.300,
32. დანია — 6.400,
33. ინდოეთი — 4.900
34. ლატვია — 4.700,
35. პოლონეთი — 4.500,
36.საბერძნეთი — 4.200,
37.ჩეხეთი — 3.900,
38.უზბეკეთი — 3.200,
39.ჩინეთი — 2.800,
40.ყაზახეთი — 2.700.

მეხუთე ათეული:

41.ირლანდია — 2.600,
42. სლოვაკია — 2.600,
43.ლიტვა — 2.500,
44.კოსტა-რიკა — 2.500,
45.კოლუმბია — 2.200,
46.მაროკო — 2.150,
47.ბულგარეთი — 2.000,
48.მოლდოვა — 2.000,
49.პერუ — 1.900,
50.ესტონეთი — 1.900,

მეექვსე ათეული:

51.ხორვატია — 1.700.
52.საქართველო — 1.600,
53.პუერტო-რიკო — 1.500,
54.სერბეთი — 1.400,
55.ფინეთი — 1300,
56.ნორვეგია — 1300,
57. ტუნისი — 1.050,
58.იაპონია — 1.000,
59. პარაგვაი — 1.000,
60. გვატემალა — 900,

მეშვიდე ათეული:

61.სინგაპური — 900,
62. გიბრალტარი — 600,
63. ლუქსემბურგი — 600,
64. პორტუგალია — 600,
65.ეკვადორი — 600,
66.ბოლივია — 500,
67.ბოსნია — ჰერცოგოვინა — 500,
68. კუბა — 500,
69.ვირჯინიის კუნძულები — 400,
70.ყირგიზეთი — 400.

და შემდეგ...

ბაჰამის კუნძულები, კარიბის ნიდერლანდები, კენია — 300-300

ზიმბაბვე, სურინამი, ტაილანდი, თურქმენეთი,იამაიკა — 200-200,

სომხეთი, კვიპროსი, მალტა, სლოვენია,ბოტსვანა, ეთიოპია, კონგო,ინდონეზია, ტაივანი,სირია, სამხრეთ კორეა — 100-100 ებრაელი.

წარმოდგენილ ცხრილში არ არიან გათვალისწინებული ის ადამიანები, რომლებსაც ისრაელში დაბრუნების კანონის მიხედვით, რეპატრიაციის უფლება გააჩნდათ და დაბრუნდნენ კიდეც, მაგრამ ჰალახით არ არიან ებრაელები. რასაკვირველია, არც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერტიტორიაზე მცხოვრები ის ადამიანები არიან გათვალისწინებულნი, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გაუბედნიათ და ვერ გაუმჟღავნებიათ, რომ ებრალები გახლავან. ამბობენ, რომ ასეთი ძალიან ბევრია. ეთიოპიელ ებრაელთა შორის არ არიან გათვალისწინებულნი ფალაშმურნი. როგორც წერენ, ამათი რიცხვი უთვალავია. ცხადია, არც მესამე და მეოთხე სამყაროს ის ტომები არიან გათვალისწინებულნი, რომლებით აცხადებენ ისრაელელთა დაკარგული ათი შტოს წარმომადგენლები ვართო. ამათი რიცხვი მილიონობით განიზომება. ისრაელის ხელისუფლების ერთი ხელის დაქნევაა საკმარისი, რომ ისტორიული სამშობლოსაკენ დაიძრან.

აღრიცხვის ასეთი მეთოდით, 2018 წლის ბოლოს მსოფლიოში 14.6 მილიონი ებრაელი ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დიდი დრო გავიდა, მსოფლიოში ებრაელთა რაოდენობამ 1939 წლის დონეს ჯერაც ვერ მიაღწია — მაშინ მთელ მსოფლიოში 16.7 მილიონი ებრაელი ცხოვრობდა.

დღეს ისრაელში თავმოყრილია მსოფლიოს ებრაელობის 45%,

ამერიკის კონტინენტზე ცხოვრობს მსოფლიოს ებრაელობის 44.3%, ევროპაში — 9.2%, ავსტრალიასა და ოკეანიის ქვეყნებში — 0.8%, აფრიკაში — 0.5%, აზიაში — 0.2%

რომელ ქალაქში რამდენი ებრაელი ცხოვრობს?

1.გუშ-დანი (ასე უწოდებენ ისრაელის ცენტრალურ — თელ-ავივსა და მის მიმდებარე ქალაქებს)—3.523 200
2.ნიუ-იორკი — 2.169 000,
3.იერუსალიმი — 911 000,
4.ლოს ანჟელესი — 686 000,
5.ხაიფა — 621 000,
6.მაიამი — პალ-ბიჩი — 536 000,
7.ვაშინგტონ-ბალტიმორი — 612 000,
8.ფილადელფია — 309 000,
9.სან ფრანცისკო-სან ხოსე — 303.800,
10. ბოსტონი-297 90

დამატებითი ინფორმაცია:

ახლახან აშშ-ს შტეინჰარდტის ინსტიტუტის (ფუნქციონირებს ბრანდეისის უნივერსიტეტის ფარგლებში) მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში აშშ ებრაული მოსახლეობა 10% გაიზარდა, ასე რომ აშშ ცხოვრობს 7.5 მილიონი ებრაელი. ეს მთელი აშშ მოსახლეობის 2 პროცენტია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მეტი ებრაელი ცხოვრობს არა ისრაელში (6.7მილიონი), არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მთელი აშშ მოსახლეობის 1.8% აცხადებს, რომ მათი რელიგია იუდაიზმი გახლავთ, ეს კი 4.4 მილიონი ადამიანია.ამას გარდა, აშშ მოზრდილი მოსახლეობიდან მილიონნახევარი ადამიანი წარმომავლობითა და სხვა კრიტერიუმებით, თავს ებრაელად მიიჩნევს. აშშ-ში 1.6 მილიონი მოზარდი ეროვნულ — ებრაულ განათლებას ღებულობს.

კიდევ რამდენიმე ციფრი შედარებისათვის: 2012 წ. ანალოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ აშშ-ში ცხოვრობს 6.8 მილიონი ებრაელი. ამათგან მხოლოდ 1მილიონი აცხადებდა, მორწმუნე ვარო, დღეს გაცილებით მეტია.

ისრაელის ახალი ეკონომიკური რეკორდები

შარშან, დეკემბრის მეორე ნახევარში ისრაელის ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის სამმართველომ გამოაქვეყნა მონაცემები იმის თაობაზე, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, თუ როგორ იზრდება ამ სახელმწიფოს ექსპორტი.

მცირე შემოკლებით გაგაცნობთ ისრაელის მიღწევებს ამ სფეროში.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ისრაელიდან სასაქონლო ექსპორტი და საექსპორტო მომსახურება გაიზარდა 68%-ით და შეადგინა 114 მილიარდი დოლარი (ათი წლის წინათ კი იყო 67.7 მილიარდი დოლარი).

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ლაპარაკია ზოგად სტატისტიკურ მონაცემებზე, თორემ ზოგიერთ ქვეყანასთან ექსპორტი 100%-ით გაიზარდა, ცალკეულ შემთხვევებში კი ზრდა გაცილებით მეტია.

თვალშისაცემია ჩინეთთან ექსპორტის გიგანტური (400%) დიდ ბრიტანეთთან 286%-ით, პოლონეთთან 162%-ით ზრდა.

საგარეო ვაჭრობის სამმართველოს მონაცემებით, შარშან ისრაელის ექსპორტი 4.5%-ით გაიზარდა.

ისრაელის საქონლისა და მომსახურების გასაღების მთავარი ბაზარი ევროკავშირი და ჩრდილოეთ ამერიკა გახლავთ. ამ ბოლო ათ წელიწადში ევროკავშირის წილი 31%-დან 36 %-მდე გაიზარდა.

ისრაელის მომსახურების ექსპორტი ძირითადად მაღალ ტექნოლოგიებს ეხება. იგი საშუალოდ იზრდებოდა 10%-ით და მეტითაც. ეს კი ორჯერ მეტია, ვიდრე ზოგადად ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი და ბოლო წლებში 160%-ით გაიზარდა. ციფრებში კი ზრდა ასე გამოიხატება: 21.5-დან 56 მილიარდამდე.

2018 წელს მომსახურების ექსპორტი თითქმის 12%-ით გაიზარდა და საქონლის ექსპორტს გაუთანაბრდა.

განვითარების ასეთი დინამიკა სრულიად განსხვავდება „ნედლეულით ექსპორტის“ პრაქტიკისაგან, რაც ესოდენ დამახასიათებელია რუსეთის, გნებავთ, სპარსეთის ყურის „ ნავთობის სათავადოებისათვის“.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში შესამჩნევად გაიზარდა ექსპორტის მიმართულებანი: აზიის ქვეყნებში ექსპორტის ზრდის პარალელურად (თუ 2009 წელს აზიის ქვეყნებზე ისრაელის ექსპორტის 18% მოდიოდა, დღეს 22%). ლათინურ ამერიკაში ისრაელის საქონლისა და მომსახურების მიწოდება 40% გაიზარდა. ამ ბოლო ათწლეულში ლათინური ამერიკის მიმართულებით ექსპორტმა 600 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ამასთან ბრაზილიაში ექსპორტი 61%-ით გაიზარდა, ჩილეში 59%-ით, პერუში კი 44%-ით.

მიუხედავად იმისა, რომ ლათინურ ამერიკაში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ნაკადი ესოდენ ინტენსიურად იზრდება, იგი მაინც არ აღემატება საერთოდ ისრაელის ექსპორტის 5%. ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ ექსპორტის ეს მიმართულება ძალიან გაიზრდება. დღევანდელი ლათინური ამერიკა ერთობ დიდი — პოტენციურად მზარდი ბაზარია, რომელშიც მოთხოვნადია სასოფლო სამეურნეო, უტილიზაციის, ნარჩენთა მეორადი გადამუშავების, ე.წ. „მწვანე“ ენერგეტიკის და სხვ. ტექნოლოგიები. ამ სფეროებში კი ისრაელის ექსპორტს დიდი საშუალებები აქვს, ისევე, როგორც შეიარაღებისა და უსაფრთხოების ელექტრონულ სისტემაში.

დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ ისრაელის საგარეო ეკონომიკაში ასეთი შთამბეჭდავი შედეგი თავისთავად, მთავრობის მიზანმიმართული, სისტემური ძალისხმევის გარეშე მოვიდა. ამაზე ხაზგასმა იმის გამო გვიხდება, რომ ისრაელის პრესა უკიდურესად ნეგატიურად წარმოადგენს საგარეო ეკონომიოკაში მიღწეულ შედეგს. ბოლო თვეების განმავლობაში მემარცხენე პრესის პოზიცია: არ წარმოაჩინოს, ხალხს დაუმალოს ნეთანიაჰუს ხელისუფლების მიღწევები ამ სფეროში, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ფაქტები კი თავისთავად მეტყველებს: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფოს პოლიტიკის შედეგად საგარეო ვაჭრობის სამმართველომ 1000 ისრაელური კომპანიის ექსპორტის გასაძლიერებლად გააკეთა 430 მილიონი შეკელის ასიგნირება. ეს უწინარესად ეხება იმ კომპანიებს, რომლებიც ჩინეთის, ინდოეთისა და იაპონიის მიმართულებით მუშაობენ.

ისრაელელ და უცხოელ ბიზნესმენებს შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარების საქმეში განსაკუთრებულ, ზოგჯერ კი დაუფასებელ, როლს ასრულებს საგარეო ვაჭრობის სამმართველოს მიერ შექმნილი ისრაელის სავაჭრო წარმომადგენლობათა ქსელი მრავალ ქვეყანაში. ასეთი ქსელები უკვე მსოფლიოს 45 ქვეყანაში მოქმედებს და მათი რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. ბოლო ხანს ისრაელის სავაჭრო ატაშეები მუშაობას შეუდგნენ იაპონიაში, ინდოეთში, ჩინეთსა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში. ისრაელის 10 ათასამდე ექპორტიორს სწორედ სავაჭრო წარმომადგენლობები დაეხმარა ურთიერთობა დაემყარებინა უცხოელ პარტნიორებთან — შედეგი: დაიდო 1.250 საპარტნიორო ხელშეკრულება, ამ შეთანმებით სახელმწიფოში 4.3 მილიარდი შეკელი შემოვიდა.

იქნებ, წყალმა უშველოთ?

ისრაელი პალესტინის მოსახლეობასთან რომ სამშვიდობო პროცესების გააქტიურებასა და კეთილი ურთიერთობის დამყარებას ცდილობს, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, ამჯერად მიხეილ მირილაშვილის კომპანიის „Watergen“-ის მეშვეობით. შარშან ჩვენი გაზეთის მკითხველს ვუამბეთ ამ კომპანიის მიერ ახალი — ჰაერიდან წყლის მიღების — ტექნოლოგიის დანერგვაზე. ამ ახალმა ტექნოლოგიურმა მღწევამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა იგი იმ ქვეყნებისათვის, რომლებშიც სუფთა, სასმელი წყალი დიდი ფუფუნებაა. ამათ რიგს განეკუთვნება ღაზას სექტორი. ამჯერად მიხეილ მირილაშვილის კომპანიამ ეს ტექნოლოგიური სიახლე ღაზას სექტორშიც მიიტანა, როგორც ფოტოზე გახლავთ აღბეჭდილი, ამ სიახლემ მცხოვრებთა შორის ინტერესი და ენთუზიაზმი გამოიწვია.

ხანოხ ლევინი ქართულ სცენაზე

რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახ. დრამატულ თეატრში პრემიერა გაიმართა — ისრაელელი ცნობილი დრამატურგის ხანოხ ლევინის პიერის ცხოვრების ჭაპანის მიხედვით წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „ბედნიერი წყვილი“ ეს ჩინებული ისრაელელი დრამატურგი უცნობი არ გახლავთ ქართველი მაყურებლისათვის. მას შემდეგ, რაც ადრეულ წლებში რობერტ სტურუამ თელავივის კამერულ თეატრში განახორციელა მისი პიესა „პირდაღებული“, ხანოხ ლევინმა ქართულ სცენაზეც მოიდგა ფეხი. მისი პიესა რეჟისორმა დავით საყვარელიძემ სოხუმის კ.გამსახურდიას სახელმწიფო დრამატულ თეატრში განახორციელა

ამჯერად კი რუსთავის თეატრში „ბედნიერი წყვილი“ დადგა ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა სოსაო ნემსაძემ, რეჟისორია ნინო შოთაძე, მხატვარი ლომგულ მურუსიძე

როლებს ასრულებენ: ნუკრი არჩვაძე, ნათელა მუხულიშვილი და გიორგი ბუაძე.

ლიონ ფოიხტვანგერის პასუხი

ფაშისტური გერმანიიდან ამერიკაში გაქცეულ ლიონ ფოიხტვანგერს ჰკითხეს:

— თქვენ დიდი გერმანელი მწერალი ხართ — ევროპის ყველაზე დიდი ტალანტით დაჯილდოებული პლეადის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო ხშირად წერთ არა ზოგადადამიანურ თემებზე, რომელიც ახლოა ყოველ პიროვნებასთან, არამედ ვიწრო ებრაულ თემატიკას მიმართავთ. რატომ აირჩიეთ ეს გზა — თქვენ ხომ ვიწრო — „ადგილობრივ“, კუთხური მნიშვნელობის ებრაელი მწერალი არა ხართ, რომელიც ებრაულ უბანში დაიბადა და გაიზარდა — თქვენ არა ხართ შოლომ ალეიხემი, რომელიც ვიწრო, ებრაული თემატიკით იყო დაინტერესებული და ამაზე წერდა.

ლიონ ფოიხტვანგერს მწარედ გაეღიმა, თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირა, ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— დავიწყებ იქიდან, რომ მე არა ვარ გერმანელი მწერალი, მე ვარ ებრაელი მწერალი, რომელიც ჩემდა სამწუხაროდ, გერმანულ ენაზე წერს, ძალიან მწადია ივრითზე ვწერდე, მაგრამ ივრითი ისე არ ვიცი, ამ ენაზე რომ ვწერო. მართლაცდა, დასაწყისში ჩვენ ყველა ვცდილობთ ვიყოთ ინტერნაციონალურნი, მულტიკულტურნი — ახალი საუკუნის, ახალი იდეების ადამიანები, მაგრამ დროდადრო დაბნეულობის ბურუსი იფანტება და შენ ხდები ის, ვინაც სინამდვილეში ხარ და არა ის, როგორიც გეწადა ყოფილიყავი. დიახ, მე მეწადა ვყოფილიყავი გერმანელი, ევროპიელი მწერალი, მაგრამ ამის უფლება არ მომცეს. დღეს კი ეს სურვილი აღარა მაქვს.

ადრე თუ გვიან გეუბნებიან: სხვის ცხოვრებაში ნუ ეჩრებიო და მე მივდივარ იქით, სადაც საჩემო ადგილია და ვწერ საჩემო თემაზე. ასე უფრო მშვიდადა ვარ, ასე სჯობია. ყველასთვის სჯობია ასე. ჩვენს მეზობლებს — გერმანელებს, ავსტრიელებს, ფრანგებს,უნგრელებს, პოლონელებს არ სურთ, რომ ჩვენ მათს ცხოვრებაში, მათს კულტურაში მივძვრებოდეთ. ამიტომაც სჯობს ძველ იუდეაზე, ან ესპანელ მორანებზე*, თუნდაც ჩემს გერმანელ მოძმეებზე წერა.

ადრე იქნება, თუ გვიან, თუ შენ თავად არ დაუბრუნდები შენს სახლს, შეგახსენებენ ვინ ხარ და შენს სახლში მიგაბრუნებენ,

მიგაბრუნებენ ისინი, ვისაც გუშინ-გუშინსწინ ძმებად მიიჩნევდი.

*** მორანები** — ქრისტიანებად ქცეული ებრაელები

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,

ტელეფონები: 299.90.96

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003